წევრებთან ურთიერთობის კომიტეტის 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა

ზოგადი ინფორმაცია სამოქმედო გეგმის შესახებ:

წევრებთან ურთიერთობის კომიტეტი აცნობიერებს „ბაფ“-ის, როგორც ქვეყანაში წამყვანი პროფესიული ორგანიზაციის როლსა და პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, მზაობას გამოხატავს გაუწიოს „ბაფ“-ის წევრებს მრავალმხრივი მომსახურება და მისცეს მათ სარგებელი კლიენტებისთვის მაღალხარისხოვანი მომსახურების გასაწევად.

კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მიზანია „ბაფ“-ის წევრებს დაეხმაროს, ჰქონდეთ ლიდერის როლი ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, აუდიტის, პროფესიული ეთიკისა და საგადასახადო დაბეგვრის სფეროში; კონკურენტებისგან გამოირჩეოდნენ პროფესიული სტანდარტების მაღალი ნიშნით, საუკეთესო განათლებითა და საქმიანი ჩვევებით.

დასახული მიზნების მისაღწევად, წევრების მომსახურების სფეროში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების გარდა, მნიშვნელოვანია შესაბამისი სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტების, პროფესიული ეთიკის კოდექსის, საგადასახადო დაბეგვრის, ხარისხის კონტროლის სტანდარტთან დაკავშირებული ყველა პროფესიული სიახლეების მიმართულებით, რათა წევრები მუდმივად ინფორმირებულნი იყვნენ მათ შესახებ, რაც საშუალებას მისცემთ გადალახონ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

ყველა დაგეგმილ სემინარს/ტრენინგს ექნება თემატური დატვირთვა, გაუძღვება პროფესიონალი წამყვანი და მათში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცემა ნებისმიერ მსურველ „ბაფ“-ის წევრს.

კორპორატიული წევრი მცირე და საშუალო ზომის აუდიტური კომპანიებისთვის ჩატარდება ხარისხის მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა სემინარები და გაიმართება ონლაინ შეხვედრები, დისკუსიების ფორმატში. დაგეგმილი ღონისძიებები დაეხმარებათ, თავიანთ საქმიანობაში შეძლონ მომსახურების ხარისხის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობთ გადალახონ თანამედროვე ბაზრის გამოწვევები.

გარდა დაგეგმილი სემინარების/ტრეინინგებისა წევრებს, როგორც წესი, საშუალება ექნებათ ისარგებლონ იმ საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციებით (სატელეფონო, ვიზიტით, წერილობითი ფორმით), რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. ამ მიმართულებით წევრების მომსახურების მეთვალყურეობას გაწევს წევრებთან ურთიერთობის კომიტეტი.

კომიტეტი აქტიურად ჩაერთვება საანგარიშო პერიოდების განგრძობითი სწავლების თემატიკის შესარჩევ სამუშაოებში (წევრების მოთხოვნების შესწავლა-გამოკითხვა) და პროგრამების პროექტების მომზადებაში.

კომიტეტის სამოქმედო გეგმით „ბაფ“-ის წევრებისათვის 2025-2027 წლებში ჩატარდება სემინარები, ჯამურად 75 საათის მოცულობით.

სემინარები/ტრენინგები ჩატარდება ონლაინ ფორმატში, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით.

ცალკეული სემინარის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ჩატარების თარიღი, საათები, ლექტორები და სხვა) გამოქვეყნდება ჩატარების თარიღამდე 10 დღით ადრე, „ბაფ“-ის ვებგვერდზე და „ბაფ“-ის ჟურნალში.

სემინარებში მონაწილეობის მსურველ წევრთა რეგისტრაცია მოხდება ელ.ფორმით, სპეციალური პროგრამის მეშვეობით.

განხორციელდება „ბაფ“-ის წევრების ინფორმირება ახალი საწევრო პროგრამის მოთხოვნების თაობაზე და ყოველკვარტალურად ეცნობება „ბაფ“-ის იმ წევრებს, მ.შ. კორპორატიულ წევრებს, რომლებთაც გააჩნიათ როგორც საწევრო გადასახადის გადახდის დავალიანება, ასევე განგრძობითი განათლების მიღების საფასურის გადახდის დავალიანებაც.

განხორციელდება შეხვედრები „ბაფ“-ის წევრებთან ონლაინ რეჟიმში, წელიწადში ერთხელ მაინც, გარდა „ბაფ“-ის გეგმიური საერთო კრებისა, სადაც განხილული იქნება პროფესიის წინაშე მდგარი მიმდინარე გამოწვევები.

დაგეგმილია, წელიწადში მინიმუმ სამ რეგიონში, შეხვედრები „ბაფ“-ის წევრებთან - ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დაბეგვრის, აუდიტის, პროფესიული ეთიკის სფეროებში მიმდინარე სიახლეების გასაცნობად, სადაც გამგეობისა და კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ შესაბამის სფეროს პროფესიონალები.

შემუშავდება ღვაწლმოსილი ადამიანების, „ბაფ“-ის წევრების მიმართ ყურადღების გამოხატვის, დაფასებისა და მოტივაციის მიზნით დაჯილდოების, საიუბილეო თარიღების მილოცვისა და/ან დასაჩუქრების თანამედროვე ფორმები.

სამოქმედო გეგმით წარმოდგენილი სემინარების/ტრენინგების ჩატარების შესაძლებლობა, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, შეთანხმებულია „ბაფ“-ის აღმასრულებელ დირექტორთან.

კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2025-2027 წლებში

1. წესდებითა და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული საქმიანობა

	დაგეგმილი ღონისძიება	**შესრულების ვადა**	**პასუხისმგებელიპირი**	**შენიშვნა**
1.	კომიტეტის სხდომები	სხდომები ჩატარდება პერიოდულად, მინიმუმ კვარტალში ერთხელ. გაფორმდება სხდომის ოქმები და დაარქივდება	კომიტეტის თავმჯდომარე	სხდომების ჩატარების კონკრეტული თარიღი დამოკიდებული იქნება განსახილველ საკითხებზე
2.	2025-2027 წლების განგრძობითი სწავლების თემატიკაზე წევრების მოსაზრებების შესწავლა (გამოკითხვა ელ.ფორმით)	წევრების მოსაზრებების შესწავლა მოხდება საანგარიშო წლის 1 აპრილამდე	ნ. ბაკაშვილი, მ. ვაჟბედაშვილი, ლ. ჭუმბურიძე	მომზადდება და წევრებს დაეგზავნება თემატური კითხვარი
3.	გამოკითხვის შედეგების ანალიზი	საანგარიშო წლის 1 მაისამდე	წევრებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე; განათლების კომიტეტი	გამოკითხვის შედეგები რელევანტური იქნება განგრძობითი სემინარების თემატიკისათვის.
4.	საწევრო მოსაკრებლების გადახდაზე მონიტორინგი	პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში ორჯერ	წევრებთან ურთიერთობის მენეჯერი	კომიტეტის მიერ გატარდება ინფორმაციის შესაბამისი ღონისძიებები
5.	ბაფის ფიზიკური და კორ. წევრების სტატისტიკისა და საწევრო დავალიანებების შესახებ ანგარიშის მომზადება	საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 31 იანვრამდე	თ. ნიქაბაძე, მ. ბითარიშვილი	ანგარიში წარედგინება მთავარ ბუღალტერს და აღმასრულებელ დირექტორს
6.	სხვა ღონისძიებების ორგანიზება წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე.	პერიოდულად, საანგარიშო წლის განმავლობაში	ბაფის შესაბამისი კომიტეტები და სტრუქტურები	
7.	„ბაფ“-ის წევრებთან ონლაინ შეხვედრა	წელიწადში ერთხელ მაინც	ბაფის შესაბამისი კომიტეტები და სტრუქტურები	

8.	„ბაფ“-ის ღვაწლმოსილი წევრების დაჯილდოება და სადღესასწაულო დღეების მილოცვა	პერმანენტულად	„ბაფ“-ის წევრებთან ურთიერთობის კომიტეტი და აღმასრულებელი დირექტორი

2. თემატური სემინარები 2025 წელს

	დაგეგმილი სემინარების თემატიკა	**საათების რაოდენობა**	**ჩატარების ვადები და საათობრივი განაწილება**	**შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი**
1.	მომსახურურების გაწევის ადგილის განსაზღვრა დღგ-ის მიზნებისათვის.	3 საათი	01.04.2025	აღმასრულებელი დირექტორი, საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე
2.	დამატებული ღირებულების გადასახადის მეთოდური მითითების განხილვა (დანართი №6 -„მომსახურების გაწევის ადგილი“;დანართი №7 - ,,სპეციალური სქემები“;დანართი №8 -,,მომსახურების გაწევა“;დანართი №9 -,,საქონლის მიწოდება“)	3 საათი	02.04.2025	აღმასრულებელი დირექტორი, საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე
3.	პროფესიული ეთიკა აუდიტორთა და ბუღალტერთათვის (ბესსს ეთიკის კოდექსი)	3 საათი	15.04.2025	აღმასრულებელი დირექტორი, ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე
4.	საინვესტიციო ქონების აღრიცხვა (მსს ფასს-ის მიხედვით)	3 საათი	29.04.2025	აღმასრულებელი დირექტორი, სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე
5.	იჯარის აღრიცხვა მსს ფასს და მე-4 კატეგორიის საწარმოების ფას-ის მიხედვით	6 საათი	05.05.2025 06.05.2025	აღმასრულებელი დირექტორი, სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე
6.	ფინანსურ ანგარიშგებაში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება	3 საათი	08.05.2025	აღმასრულებელი დირექტორი, სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე

7.	საგადასახადო კანონმდებლობაში 2024 -2025 წელში შუსული ცვლილებებისა და სიახლეები მიმოხილვა -1.	6 საათი	16.05.2025 19.05.2024,	აღმასრულებელი დირექტორი, საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე
8.	არაზიდენტების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან.	3 საათი	21.05.2024,	აღმასრულებელი დირექტორი, საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე
	სულ 2025 წელს ჩასატარებელი სემინარების მოცულობა	**30 საათი**		

3. თემატური სემინარები 2026 წელს

	დაგეგმილი სემინარების თემატიკა	**საათების რაოდენობა**	**ჩატარების ვადები და საათობრივი განაწილება**	**შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი**
1.	პროფესიული ეთიკის კოდექსი	3 საათი	თებერვალი 2026	აღმასრულებელი დირექტორი, ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე
2.	ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები	6 საათი	მარტი 2026	აღმასრულებელი დირექტორი, სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე
3.	ხარისხის კონტროლის მართვა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში	3 საათი	აპრილი 2026	აღმასრულებელი დირექტორი, მცირე და საშუალო ზომის აუდიტურ კომპანიებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე
4.	საგადასახადო დაბეგვრა	12 საათი	მაისი 2026	აღმასრულებელი დირექტორი, საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე
	სულ 2026 წელს ჩასატარებელი სემინარების მოცულობა	**24 საათი**		

4. თემატური სემინარები 2027 წელს

	დაგეგმილი სემინარების თემატიკა	**საათების რაოდენობა**	**ჩატარების ვადები და საათობრივი განაწილება**	**შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი**

1.	პროფესიული ეთიკის კოდექსი	2 საათი	თებერვალი 2027	აღმასრულებელი დირექტორი, ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე
2.	ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები	6 საათი	მარტი 2027	აღმასრულებელი დირექტორი, სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე
3.	ხარისხის კონტროლის მართვა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებში	3 საათი	აპრილი 2027	აღმასრულებელი დირექტორი, მცირე და საშუალო ზომის აუდიტურ კომპანიებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე
4.	საგადასახადო დაბეგვრა	9 საათი	მაისი 2027	აღმასრულებელი დირექტორი, საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარე
	სულ 2026 წელს ჩასატარებელი სემინარების მოცულობა	**20 საათი**		

ნიკო ბაკაშვილი,
„ბაფ“-ის წევრებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე